დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური
პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ რომან კაკულიას

ბატონო რომან,

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2018 წლის 05 ნოემბრის N210/1 გადაწყვეტილებით იურიდიულ საკითხთა კომიტეტს სავალდებულო განხილვისათვის გადმოეცა საქართველოს პარლამენტის წევრების: მერაბ ქვარაიას, პაატა მხეიძის, გოგა გულორდავას, კობა ლურსმანაშვილის, ზაქარია ქუცნაშვილის, რატი იონათამიშვილის, გიორგი მოსიძის, გიორგი კოპაძის, დიმიტრი მხეიძისა და ცოტნე ზურაბიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტები „სოციალური მეწარმეობის შესახებ“, „გრანტების შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“, „მეწარმეთა შესახებ“ და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე (N07-3/236 – 01.11.2018), რომელთა სავალდებულო წესით განხილვის ვადა განსაზღვრულია 2018 წლის 26 ნოემბრამდე.

ვინაიდან, დამატებითი კონსულტაციებისა და პოზიციების შეჯერების საჭიროების გამო აღნიშნულ ვადაში საკითხის განხილვა ვერ ხერხდება გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული ვადის გაგრძელება 2 კვირით.

პატივისცემით,

ეკა ბესელია

კომიტეტის თავმჯდომარე

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge